



## ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი N 11

2020 წელი 14 აგვისტო

ქ. ბაღდათი

10.00 საათი

2020 წლის 14 აგვისტოს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

**სხდომას ესწრებოდა:** შალვა მშვილდაძე, ირინა ტყემელაშვილი, მამუკა გორგოძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, კობა მშვილდაძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, შადიმან გორგოძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, თემურ მინაძე, ზაზა ზივზივაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, თეონა ფახურიძე, მურად ბურჯანაძე, გაბრიელ ღიბრაძე, რუსუდან გეჭაძე.

**საკრებულოს წევრები:** სულ 21 წევრი.

**არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები:** ნოდარ გიორგაძე, გიორგი რობაქიძე, ალექსი ლომინაშვილი, ვლადიმერ წიქორიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ირაკლი გოგსაძე, კობა მშვილდაძე, შალვა დათუაძე.

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

**მუნიციპალიტეტის მერიიდან:**

**კახა გოგნაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

**მირიან ფულარიანი** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

**კახა მსხვილიძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

**მარეხი მშვენიერაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

**თათია ღვალაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი.

**საკრებულოს აპარატის უფროსი - ნოდარ ებანოიძე.**

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ გოგსაძე**

**რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 წევრმა, დაესწრო 21 საკრებულოს წევრი.**

**სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ „საკრებულოში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ“, როგორც შ. მშვილდაძემ განმარტა, საკითხი ეხებოდა მუნიციპალიტეტის მერიის რიგი სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას.**

**შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:**

#### დღის წესრიგი

1., ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებით

დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. თათია ღვალაძე-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი  
2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №13 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. თათია ღვალაძე-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი  
თანამომხსენებელი: კახა გოგნაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. თათია ღვალაძე-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი  
თანამომხსენებელი: მარეხი მშვენიერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი

4.

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. თათია ღვალაძე-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი  
თანამომხსენებელი: ნინო მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. თათია ღვალაძე-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი  
თანამომხსენებელი: კახა მსხვილიძე-მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

6. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. კახა გოგნაძე -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მამუკა გორგოძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მამუკა გორგოძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1.** „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა, **თათია ღვალაძემ-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ცვლილება ძირითადად ეხება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დანიშნულ მერის წარმომადგენლებისა და სპეციალისტების გაყვანას ადმინისტრაციული ხელშეკრულებით. საკითხთან დაკავშირებით დამატებით განმარტება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგსაძემ.**

კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გვანცა გრძელიძემ.**

**საკრებულო ადგენს:**

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 10 14.08.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

**გადაწვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-20 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 20 ბიუროს წევრი

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2.** „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №13 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა, **თათია ღვალაძე-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ცვლილება სამსახურის დებულებაში გამოიწვია რიგი სპეციალისტების გადაჯგუფებამ ცალკეულ განყოფილებებში.**

კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გვანცა გრძელიძემ.**

**საკრებულო ადგენს:**

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 11 14.08.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

**გადაწვეტილება მიღებულია**

**მომხრე- 20 წინააღმდეგი - 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 3.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

დადგენილების პროექტი სხდომაზე წარადგინა: **თათია ღვალაძემ-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2020 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შედის საქართველოს კანონი „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომლის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში იქმნება შესაბამისი განყოფილება.**

**საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგსაძემ და მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსმა მარეხი მშვენიერაძემ.**

კომისიის დასკვნა წარმოადგინა, საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გვანცა გრძელიძემ.**

**საკრებულო ადგენს:**

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 12 14.08.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

**გადაწვეტილება მიღებულია**

**მომხრე- 20 წინააღმდეგი - 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

**მ ო ს მ ი ნ ე ს: 4.** „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 17 იანვრის N 6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილების პროექტი სხდომაზე წარადგინა: **თათია ღვალაძემ-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება ინკლუზიური საქმიანობის გატანას სამსახურიდან და იგი შეუერთდება სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს.

**კომისიის დასკვნა** წარმოადგინა, საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ.

**საკრებულო ადგენს:**

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 13 14.08.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

**გადაწვეტილება მიღებულია**

**მომხრე- 20 წინააღმდეგი - 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

**მ ო ს მ ი ნ ე ს: 5.** „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

დადგენილების პროექტი სხდომაზე წარადგინა: **თათია ღვალაძემ-მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსმა**.

სამსახურის დებულების ცვლილებასთან დაკავშირებით ინფორმაცია საკრებულოს წევრებს მიაწოდა, მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის **უფროსმა კახა მსხვილიძემ**.

**კომისიის დასკვნა** წარმოადგინა, საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ.

**საკრებულო ადგენს:**

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 14 14.08.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

**გადაწვეტილება მიღებულია**

**მომხრე- 20 წინააღმდეგი - 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

**მ ო ს მ ი ნ ე ს: 6.** “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში შესატანი ცვლილებები საკრებულოს წევრებს გააცნო, **კახა გოგნაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ცალკეული სამსახურების დებულებებში შეტანილმა ცვლილებებმა, ახალი განყოფილებების ჩამოყალიბებამ და ცალკეულ სპეციალისტებზე რანგების გაზრდამ მოითხოვა საშტატო ნუსხაში შესაბამის ცვლილებები.

**მაკა მესხი - საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“**, იგი დაინტერესდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სპეციალისტებს, რატომ ჰქონდათ განსხვავებული სახელფასო სარგო.

**არჩილ გოგსაძე-მუნიციპალიტეტის მერი**, მან უპასუხა მ. მესხის შეკითხვას აღნიშნა, რომ მას აქვს დიფერენცირებული მიდგომა სოფლებში თუ როგორ მუშაობენ სპეციალისტები წარმომადგენლებთან ერთად და დასძინა, რომ მომავალი წლიდან თვით

წარმომადგენლებთანაც ექნება დიფერენცირებული მიდგომა ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვა:**

**გვანცა გრძელიძემ-საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა,** იმის გათვალისწინებით, რომ მერიის სამტატო ნუსხაში სპეციალისტების გასწვრივ მითითებული არ არის სფეროები, მომავალში საკითხის შემოტანისას წარმოადგინონ დეტალური განმარტებითი ბარათი თუ რომელ სპეციალისტები გადაჯგუფდა, რომელს შეეცვალა რანგი და ა.შ.“

**კომისიის დასკვნა** ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ.

**საკრებულო ადგენს:**

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 15 14.08.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია**

**მომხრე- 20 წინააღმდეგი - 0**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 7.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა **მამუკა გორგოძემ** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი კომისიას გადადებული ჰქონდა, რათა გასაუბრებოდა მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას.

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 38 14.08. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-18 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 8.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი ბიუროს სხდომაზე წარმოადგინა **მამუკა გორგოძემ** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.

**საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 39 14.08. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწყვეტილება მიღებულია:**

**მომხრე-18 წინააღმდეგი-0**

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.**

**სხდომის თავმჯდომარე:**

**შალვა მშვილდაძე**